## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/80

ქ. თბილისი 22 მარტი 20

**სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებასა და დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილებები სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის №2324 დადგენილებით მიღებულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში და სწავლების დეპარტამენტის ნაცვლად მითითებულ იქნეს დოქტორანტურის დეპარტამენტი;
2. შევიდეს ცვლილებები სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით მიღებულ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში და სწავლების დეპარტამენტის ნაცვლად მითითებულ იქნეს დოქტორანტურის დეპარტამენტი;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**